

საქართველოს კანონი

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №5, 18.01.2005, მუხ. 19) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის დამატება:

კანონს დაემატოს შემდეგი სახის 55¹ მუხლი:

**„მუხლი 55¹. პოლიტიკური დისკუსია საზოგადოებრივი
მაუწყებლის ეთერში**

საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია არჩევნებს შორის პერიოდში სისტემატიურად განათავსოს თავის ეთერში გადაცემები, რომლის მიზანსაც წარმოადგენს პოლიტიკური დისკუსია ქვეყანაში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს პროცესებთან დაკავშირებით და არადისკრიმინაციულად უზრუნველყოს ამ გადაცემებში პარლამენტში არსებული პოლიტიკური ძალების (ფრაქციების), აგრეთვე იმ პოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენლობა, რომლებიც იღებენ დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი